

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი
კლინიკური

2017 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის” მფლობელს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ასს”). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა

კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეყრდნობოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე,

ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

კარინე მარტიროსიან
რეგისტრირებული აუდიტორი

2018 წლის 27 აგვისტო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	3,133,416	3,062,437
არამატერიალური აქტივები		4,500	4,241
		3,137,916	3,066,678
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		180,407	143,285
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,814,324	3,992,949
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		-	24,292
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	1,556,756	2,822,619
		5,551,487	6,983,145
სულ აქტივები		8,689,403	10,049,823
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	7.1	39,277	39,277
კაპიტალში კონტრიბუცია	7.2	(220,513)	289,176
აკუმულირებული მოგება		5,606,718	5,356,211
		5,425,482	5,684,664
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	8	1,074,671	1,910,631
		1,074,671	1,910,631
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,180,382	2,454,528
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		8,868	-
		2,189,250	2,454,528
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,689,403	10,049,823

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2018 წლის 27 აგვისტოს:

დანიელ გუფთა
დირექტორი

მარინა აზარიაშვილი
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 10-41 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
შემოსავალი	10	10,093,295	11,682,437
სხვა შემოსავალი		33,609	33,016
საავადმყოფოს საოპერაციო ხარჯები	11	(7,514,305)	(7,781,587)
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,159,646)	(1,505,905)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		452,953	2,427,961
ფინანსური ხარჯი	13	(180,985)	(172,510)
სხვა ფინანსური ერთეულები	14	(906)	59,210
მოგება მოგების გადასახდით დაბეგვრამდე		271,062	2,314,661
მოგების გადასახდის (ხარჯი)/ბენეფიტი	15	(20,555)	202,267
წლიური მოგება		250,507	2,516,928
სხვა გაერთიანებული შემოსავალი		-	-
მთლიანი მოგება საანგარიშგებო წლისთვის		250,507	2,516,928

თანდართული შენიშვნები 10-41 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2016 წელი	39,277	370,222	2,839,283	3,248,782
წლიური მოგება	-	-	2,516,928	2,516,928
მთლიანი გაერთიანებული შემოსავლები	-	-	2,516,928	2,516,928
წინა პერიოდებში აღიარებული გადავადებული მოგების გადასახადის გაუქმება (შენიშნა 7.2 და შენიშნა 15)	-	65,334	-	65,334
კაპიტალის კონტრიბუციის შემცირება აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშნა 7.2 და შენიშნა 8)	-	(146,380)	-	(146,380)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(81,046)	-	(81,046)
31 დეკემბერი, 2016 წელი	39,277	289,176	5,356,211	5,684,664
წლიური მოგება	-	-	250,507	250,507
მთლიანი გაერთიანებული მოგება	-	-	250,507	250,507
კაპიტალის კონტრიბუციის შემცირება აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშნა 7.2 და შენიშნა 8)	-	(509,689)	-	(509,689)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(509,689)	-	(509,689)
31 დეკემბერი, 2017 წელი	39,277	(220,513)	5,606,718	5,425,482

თანდართული შენიშვნები 10-41 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება წლის განმავლობაში	250,507	2,516,928
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	779,934	481,511
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	(2,145)	(12,064)
საპროცენტო ხარჯი	180,985	172,510
მოგების გადასახადის ხარჯი/(ბენეფიტი)	20,555	(202,267)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის შებრუნება	(35,638)	(26,592)
წინასწარ გადახდილი ხარჯების გაუფასურება	-	(180,450)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	49,887	180,617
საკურსო სხვაობის ზარალი/(მოგება)	906	(59,210)
საოპერაციო შედეგები კაპიტალში ცვლილებამდე	1,244,991	2,870,983
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	168,113	(79,567)
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(37,122)	(14,411)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(265,278)	157,323
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1,110,704	2,934,328
გადახდილი პროცენტი	(671,572)	(116,705)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	439,132	2,817,623
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(863,578)	(1,889,553)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	14,551	29,538
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(849,027)	(1,860,015)
ფული საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების დაფარვა	(835,758)	-
წმინდა ფული ფინანსირებიდან	(835,758)	-
წმინდა ფულის ზრდა/(კლება)	(1,245,653)	957,608
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე	(20,210)	246,184
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში	2,822,619	1,618,827
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს	1,556,756	2,822,619

თანდართული შენიშვნები 10-41 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური” დაარსდა 2011 წლის 5 ნოემბერს. კომპანია მთლიანად არის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურის (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore) მფლობელობაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო კლინიკის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს ნებისმიერი დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, როგორც საავადმყოფოში, ასევე ამბულატორიულ კლინიკაში. კლინიკის დეპარტამენტები მოიცავს სხვადასხვა პათოლოგიების დიაგნოსტიკას და მკურნალობას მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობისა და ტექნიკის გამოყენებით.

სავადადმოფოს აქვს შემდეგი დეპარტამენტები:

- მოზრდილთა მიმღებ-გადაუდებელი
- მოზრდილთა რეანიმაცია
- ანესთეზიოლოგია და საოპერაციო ბლოკი
- აბდომინური ქირურგია
- გინეკოლოგია
- გულმკერდის ქირურგია
- სისხლძარღვთა და მიკროქირურგია
- ნეიროქირურგია
- ტრავმატოლოგია-ორთოპედია
- კარდიოლოგია და ინტერვენციული კარდიოლოგია
- ზოგადი თერაპია
- ამბულატორიული და ფუნქციური დიაგნოსტიკა
- ზოგადი პედიატრია
- ბავშვთა-მიმღებ გადაუდებელი
- ბავშვთა რეანიმაცია
- ბავშვთა ქირურგია
- ყბა-სახის ქირურგია
- ნევროლოგია
- ბავშვთა ნევროლოგია

კომპანიის იურიდიული მისამართია წინანდალის ქუჩა 9, ისან-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც წარდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა უფრო გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ შემოსავლებზე და ხარჯებზე. მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასებებისა და განსჯის მნიშვნელოვან ხარისხს მოითხოვს, ასევე ანგარიშგების ნაწილები, სადაც მოსაზრებები და შეფასებები დიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ბასს”) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭოს (“ფაისს”) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშგო წლებისათვის

წარდგენის ცვლილება (ცვლილება ბასს 7-ში ფულადის ნაკადების ანგარიშგება)

ცვლილება ბასს 7-ში, რომელიც ძალაშია 2017 წლის პირველი იანვრიდან, ავალდებულებს კომპანიებს მოახდინონ ფინანსურ ვალდებულებებში მომხდარი ყველა

ცვლილების ასახვა. კომპანია მოცემულ ცვლილებებს ასახავს, როგორც ცვლილებებს ფულადი ნაკადებიდან და არაფულად მუხლებში მომხდარ ცვლილებებს. (შენიშნა 22)

ცვლილებები უნდა აისახოს რეტროსპექტულად. აღნიშნულ ცვლილებებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა არ ჰქონიათ.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დღისათვის, არის სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, მაგრამ არაა ძალაში შესული. კომპანიას ჯერ კიდევ არ დაუწვია მათი დანერგვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია დანერგოს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში იმ დღიდან, როცა ისინი ძალაში შევა. ინფორმაცია სტანდარტებზე, განახლებებზე და ინტერპრეტაციებზე, რომლებსაც გავლენა აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოყვანილია ქვემოთ. გარდა ქვემოთ აღნიშნულისა, უკვე გამოქვეყნებულია რიგი სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციებიც, რომლებსაც, როგორც ხელმძღვანელობა ვარაუდობს, არსებითი გავლენა არ ექნებათ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტებთან* დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაში და შემოაქვს ახალი, ე.წ. “მოსალოდნელი ზარალის” მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე მოიცავს ახალ განმარტებას ჰეჯირების ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს აღნიშნული ახალი სტანდარტის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტის გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრს, ან ამ თარიღის მერე, დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 ითხოვს შემოსავლის ახალი მეთოდით აღიარებას, ის ჩაანაცვლებს ბასს 18 *შემოსავალი*, ბასს 11 *სამშენებლო კონტრაქტები*, და შემოსავლებთან დაკავშირებულ რამოდენიმე ინტერპრეტაციას. ახალი სტანდარტი დაამკვიდრებს კონტროლზე დაქვემდებარებულ შემოსავლის აღიარების მეთოდს და იძლევა დამატებით მითითებებს ბევრ იმ საკითხზე, რომლებიც ახლანდელ სტანდარტებში დეტალურად არ არის განხილული, მათ შორის იმაზე, თუ როგორ უნდა აღირიცხოს გარიგებები, რომლებიც ერთდროულად რამოდენიმე შესასრულებელ პირობას მოიცავენ; გარიგებები ცვლადი ფასწარმოქმნით; კლიენტებისთვის ანაზღაურების უფლებები; გარიგებები, რომლებიც მოიცავენ მომწოდებლების უფლებას უკან შეისყიდონ მოწოდებული აქტივები და სხვა კომპლექსურ საკითხებზე.

ფასს 15 ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტის სავარაუდო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და დანართებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოიჯარეებს დაავალდებულებს “საბალანსო ანგარიშის” მეთოდით

აღრიცხული არსებული იჯარები, აღრიცხონ “გამოყენების უფლების” მეთოდით, როგორც საიჯარო აქტივები, ასევე საიჯარო ვალდებულებები.

ფასს 16 აგრეთვე :

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;
- განსაზღვრავს აღრიცხვის სტანდარტებს აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, შედარებით რთული შემთხვევების ჩათვლით, როგორც არის არა-საიჯარო ელემენტები, განსხვავებული საიჯარო გადახდები და არჩევითი პერიოდები ;
- მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების აქტივის იჯარებს უზრუნველყოფს გათავისუფლებისგან;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- უცვლელად ტოვებს ბასს 17 მიდგომებს მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით
- წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებით დანართებთან დაკავშირებით

ფასს 16 ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ფასს16-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები საანგარიშგებო ვალუტაში (ანუ ქართულ ლარში) გადაიყვანება შესაბამისი ტრანზაქციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ბალანსის თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.5922 ლარს, ხოლო ერთი ევროსთვის 3.1044 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6468 ლარი და ერთი ევრო 2.7940 ლარი). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მალი წარდგენა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

ვალუტის გადაანგარიშებით გამოწვეული საკუროს სხვაობის შედეგები აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში წარდგენილია აკუმულირებული ცვეთის და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტთან დაკავშირებულ გადასახადებს, გამოუქვითავ გადასახადებსა და სხვა პირდაპირ ზარალებს. როცა ძირითადი საშუალება

შედგება რამოდენიმე სხვადასხვა კომპონენტისგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ეს კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

აქტივის გაყიდვიდან (ან ჩამოწერიდან) მიღებული მოგება (ან ზარალი), რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებულ ანაზღაურებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების იმ კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებაში, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირია:

სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები	- 5 - 20 წელი
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	- 2 - 10 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, ბალანსში წარდგენილია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული თვითღირებულებით.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 7 წლის განმავლობაში და ამორტიზაცია აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ღირებულებით აღიარებული აქტივები/იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით აღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი იჯარის დაწყების თარიღისთვის აღიარდება ბალანსში მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური იჯარაზე, მიუხედავად იმისა ხდება თუ არა გარკვეული საიჯარო ვალდებულების გადახდა იჯარის ვადის დაწყებამდე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწვევისთანავე.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება მათ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გარდა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აღიარდება) თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული დანახარჯები. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აღიარდება, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- ფინანსური აქტივები მათი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალზე
- გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები
- ვადიანი ინვესტიციები.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები მათი ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირდება სხვადასხვა კატეგორიებად. ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია კატეგორიებად მნიშვნელოვანია მათი შეფასებისათვის და აგრეთვე იმის განსაზღვრისთვის მასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი მოგება-ზარალში აისახება თუ პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 17.2, სადაც ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით არის ნაჩვენები.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივთან

აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი” ან “ფინანსური შემოსავალი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საეჭვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

i სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, დადგენილი ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდებიან აქტიურ ბაზარზე და ფინანსური აქტივების აღნიშნული კატეგორია მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ასეთი აქტივები წარედგინება გაუფასურების ზარალით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას თავდაპირველი მოთხოვნის პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი პრობლემები, გაკოტრება და ვალდებულებების გადახდის უუნარობა არის მნიშვნელოვანი ინდიკატორები იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ამ აქტივიდან მომავალში სავარაუდოდ მისაღები ფულადი ნაკადების (დისკონტირებული ეფექტური განაკვეთით) ღრუვანდელ ღირებულებას შორის.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საეჭვო მოთხოვნების რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, რომლისგანაც თანხის მიღება შეუძლებლად მიიჩნევა, ჩამოიწერება ხარჯებში.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და ხელზე არსებულ ნაღდ ფულს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 17.2 შენიშვნაში.

i. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება სესხის ალბათთან დაკავშირებული დანახარჯები. სხვაობა სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის აისახება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სესხი კომპანიის მფლობელებისგან იყო მიღებული. როდესაც სესხი კომპანიის მფლობელებისგან არის მიღებული სხვაობა მის სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის აისახება პირდაპირ კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის საწყის ღირებულებასა და ჩანაცვლების ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. საპროცენტო ხარჯები და სესხთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები, აღიარდება ფინანსურ ხარჯად, გარდა სესხთან დაკავშირებული იმ დანახარჯებისა, რომელიც შესაძლებელია პირდაპირ იქნას მიკუთვნებული განსაკუთრებული აქტივის შეძენაზე, მშენებლობასა თუ წარმოებაზე. ასეთი სასესხო დანახარჯები, არსებობის შემთხვევაში, კაპტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის ღირებულებაში.

ii. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.7 გაუფასურება

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადის მქონე აქტივების ამორტიზაცია არ ხდება და ისინი ყოველწლიურად მოწმდება შესაძლო გაუფასურების დადგენის მიზნით. ამორტიზებადი აქტივების გაუფასურების ტესტირება ხდება, როდესაც რაიმე მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა მის აღდგენით ღირებულებაზე მეტი იყოს. როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, მაშინ დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი, რომელიც ტოლია იმ თანხის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატებოდა მის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი ისევე აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის გადახდილ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო წინა პერიოდში მისი გაუფასურება. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუკი ეს აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში ფინანსური აქტივები, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა, რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახვით, ფასდება გაუფასურების ინდიკატორის არსებობაზე. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუკი არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის გამო, აქტივიდან მომავალში მოსალოდნელი მისაღები ფულადი სახსრების მოცულობა შეიცვალა (შემცირდა).

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო მოთხოვნების რეზერვის საშუალებით.

გარდა გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტებისა, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება-ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

3.8 სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამდე, სანამ არ არსებობს გონივრული გარანტია, რომ კომპანია შეასრულებს მათთან დაკავშირებულ პირობებს და მიიღებს გრანტებს.

სახელმწიფო გრანტები, რომელთა ძირითადი პირობაა, რომ კომპანიამ უნდა იყიდოს, აწარმოოს ან სხვაგვარად შეიძინოს გრძელვადიანი აქტივები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია გადავადებული შემოსავლის სახით და აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მიხედვით, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე ხდება მისი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა სახელმწიფო გრანტები აღიარდება შემოსავლად სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტის მეშვეობით.

სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას.

იმ გრძელვადიანი უპროცენტო სესხის შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ სახელმწიფოსგან მიიღო სადაზღვევო კომპანიებისგან უიმედო მოთხოვნების კომპენსაციისათვის, განსხვავება, რომელიც წარმოიშობა სესხის სამართლიან ღირებულებას და ნომინალურ ღირებულებას შორის, აღიარებულია, როგორც შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან, იმ პერიოდში, რომელშიც სესხი არის მიღებული.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

ღივიღენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

კაპიტალში კონტრიბუცია/(კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება) წარმოადგენს აქციონერების დამატებით ინვესტიციას (განაწილებას აქციონერებზე), აქციონერთა სესხების ნომინალური ღირებულებასა და აღიარებისას მათ სამართლიან ღირებულებას შორის არსებული სხვაობით, რომლებიც გაანგარიშებულია მომავალი ფულადი ნაკადების ევექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახდთან დაკავშირებით.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც შესაძლოა განხილული იყოს, როგორც მოგების განაწილება (გაცემული სარგებელი; გაცემული საჩუქარი; გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს ან წინა პერიოდებში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახდით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, ფინანსურ ანგარიშგებაში არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის, შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრისთვის ბასს 12-ის მიხედვით არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

გადავადებული გადასახადი 2017 წლის 1 იანვრამდე

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგება, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან

ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.11 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, სადაც გაითვალისწინება კომპანიის მიერ კლიენტისთვის მიცემული ნებისმიერი ფასდაკლება თუ ფასდათმობა. შემოსავალი მცირდება გაცემული ფასდაკლებით და სხვა მსგავსი შელავათებით.

მომსახურების გაწევა

შემოსავალი აღიარდება, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- შესაძლებელია შემოსავლების მოცულობის ზუსტად განსაზღვრა;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში;
- ბალანსის თარიღისათვის ტრანზაქციის დასრულების ეტაპის საკმარისად ზუსტად განსაზღვრა შესაძლებელია; და
- ოპერაციის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯებისა და მისი დასრულებისათვის მომავალში საჭირო ხარჯების საკმარისად საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავალი სამედიცინო/ჯანდაცვის სერვისებიდან

24 საათის განმავლობაში (სასწრაფო დახმარების) საავადმყოფოში ყოფნის სტაციონარულ მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარებულია პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვის დღის მიხედვით.

შემოსავლები პაციენტებიდან, რომელთა სტაციონარული ან ამბულატორული მომსახურება 24 საათზე მეტ ხანს გრძელდება, აღიარდება შემდეგნაირად:

1. ინდივიდუალური პაციენტების მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება გაწეულია და ანგარიში წარდგენილია პაციენტზე.
2. პაციენტის სადაზღვევო პოლისის მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება სრულად გაეწია პაციენტს, მოხდა პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვა და არსებობს გონივრული საფუძველი, რომ ანაზღაურების მიღება მოხდება ჯანმრთელობის დამზღვევი პროვაიდერისგან. სამედიცინო ჩანაწერებზე დაფუძნებით აღიარებული შემოსავალი წარედგინება: (ა) პაციენტის ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერებს, სადაზღვევო პოლიტიკის მიხედვით; ან (ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის პირობების შესაბამისად.

შემოსავალი იჯარიდან

შემოსავალი იჯარიდან აღიარდება წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის მიხედვით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სულ
<i>ღირებულება</i>			
1 იანვარი, 2016 წელი	2,251,849	439,919	2,691,768
მატება	1,772,133	117,420	1,889,553
კლება	(73,207)	(45,613)	(118,820)
31 დეკემბერი, 2016 წელი	3,950,775	511,726	4,462,501
მატება	776,264	87,314	863,578
კლება	(45,735)	(25,835)	(71,570)
31 დეკემბერი, 2017 წელი	4,681,304	573,205	5,254,509
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
1 იანვარი, 2016 წელი	829,343	191,370	1,020,713
წლის ცვეთა	393,450	87,247	480,697
კლების შედეგად კორექტირება	(62,671)	(38,675)	(101,346)
31 დეკემბერი, 2016 წელი	1,160,122	239,942	1,400,064
წლის ცვეთა	665,735	115,060	780,795
კლების შედეგად კორექტირება	(38,432)	(21,334)	(59,766)
31 დეკემბერი, 2017 წელი	1,787,425	333,668	2,121,093
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
31 დეკემბერი, 2016 წელი	2,790,653	271,784	3,062,437
31 დეკემბერი, 2017 წელი	2,893,879	239,537	3,133,416

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით.

ცვეთის ხარჯი აღრიცხულია ადმინისტრაციულ ხარჯად.

კომპანიას საავადმყოფოს შენობა აღებული აქვს იჯარით დაკავშირებული მხარისაგან შპს ამტელ მედიქალ ფროფერტის-გან.

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსთან	3,434,959	3,588,005
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისგან	736,180	824,349
მოთხოვნები პაციენტებისგან	465,838	249,808
მოთხოვნები სხვა იურიდიული პირებისგან	49,115	53,806
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	13,814	17,758
სულ	4,699,906	4,733,726
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(936,120)	(921,871)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	3,763,786	3,811,855
წინასწარ გადახდილი ხარჯების გაუფასურება	-	(180,450)
წინასწარ გადახდილი ხარჯების გაუფასურების შებრუნება	-	180,450
ალჭურვილობის შესასყიდად წინასწარ გადახდილი თანხა	-	-
სახელმწიფოს ბიუჯეტში წინასწარი გადახდილი თანხები	-	19,837
ავანსები	50,538	161,257
	50,538	181,094
სულ	3,814,324	3,992,949

ყველა თანხა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

სოციალური მომსახურების სააგენტოდან და სადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს პაციენტთა კერძო ან სახელმწიფო ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით დაფარულ მეურნეობის/ჯანდაცვის მომსახურების საკომპენსაციო თანხას.

მოთხოვნის დაფარვის საშუალო პერიოდია 137 დღე (2016: 116 დღე).

2015 წელს კომპანიამ წინასწარ გადაიხდა თანხა ტექნიკის შეძენისა და მონტაჟისთვის, რომელიც არ იყო მიწოდებული საკონტრაქტო პირობებში; აქედან გამომდინარე, მოხდა მთელი თანხის დარეზერვება. 2016 წელს კომპანიამ დაიწყო სამართლებრივი პროცესი და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გზით მიიღეს დანაღდარები და სამონტაჟო მომსახურება 180,450 ლარის ოდენობით.

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. კომპანიამ შექმნა გაუფასურების რეზერვი, იმ დებიტორულ დავალიანებებზე, რომლებიც 365 დღით არის გადაგადაცილებული, რადგან ისტორიული გამოცდილების მიხედვით, ასეთი დებიტორული დავალიანებები არ არის დაბრუნებადი. 365 დღით გადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება შეადგენს 763,523 ლარს, საიდანაც კერძო სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებული მოთხოვნა არის 725,445 ლარი (2016: 789,535 ლარი, საიდანაც კერძო სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებული მოთხოვნა არის 717,982 ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინდივიდუალური სავაჭრო მოთხოვნები, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 172,597 ლარი (2016 წლის 31 დეკემბერი: 132,336

ლარი) გაუფასურდა და დარეზერვდა. ინდივიდუალურად გაუფასურებული სავაჭრო დებიტორები დაკავშირებულია დაუზღვეველ პაციენტებთან არსებულ მოთხოვნებთან. ამ დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ანალიზი შემდეგია:

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
6 თვის განმავლობაში	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	42,426	34,271
1 წლის შემდეგ	130,171	98,065
	<u>172,597</u>	<u>132,336</u>

საეჭვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

ლარი	2017	2016
ნაშთი წლის დასაწყისში	9 21,871	767,846
რეზერვის კორექტირება (შენიშვნა 12)	(35,638)	(26,592)
რეზერვის გაზრდა პერიოდის განმავლობაში (შენიშვნა 12)	49,887	180,617
ნაშთი წლის ბოლოს	<u>9 36,120</u>	<u>9 21,871</u>

სავაჭრო მოთხოვნების ამოღებადობის განსაზღვრის მიზნით, კომპანია განიხილავს ნებისმიერ ცვლილებას დებიტორის გადახდების ისტორიაში, ვალის გაცემის დღიდან საანგარიშგებო პერიოდამდე. ხელმძღვანელობა მოიაზრებს, რომ არ არის საჭირო სხვა დამატებითი გაუფასურების რეზერვის შექმნა, გარდა ზემოთ ხსენებულისა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული წინასწარი გადახდები არის მთლიანად ამოღებადი საგადასახადო კანონმდებლობის სპეციფიკურობის გამო, რადგანაც ის საშუალებას იძლევა საგადასახადო ვალდებულება გაქვითული იყოს წინასწარი გადახდებით, მიუხედავად გადასახადის ტიპისა.

სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული წინასწარი გადახდები შემდეგია:

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
სოციალური გადასახადი	-	15,724
ქონების გადასახადი	-	317
სხვა გადასახადები	-	3,796
	<u>-</u>	<u>19,837</u>

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც აღრიცხულია უცხოურ ვალუტაში წარდგენილია შენიშვნა 18-ში.

6 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
ფული ხელზე	11,255	7,136
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,545,501	2,815,483
	<u>1,556,756</u>	<u>2,822,619</u>

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც აღრიცხულია უცხოურ ვალუტაში წარდგენილია შენიშვნა 18-ში.

7 კაპიტალი და რეზერვები

7.1 საფუძვლო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება აერთი აქციისგან ნომინალური ღირებულებით 39,277 ლარი, რომელიც ეკუთვნის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურს (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore).

7.2 კაპიტალში კონტრიბუცია

კომპანიამ მიიღო სესხი თავისი აქციონერისგან. სესხი შედგებოდა რამდენიმე ტრანშისგან. (იხ. შენიშვნა 8). სესხის პირობების მიხედვით სესხის ძირითად თანხაც და დარიცხული პროცენტიც სესხის ვადის ბოლოს უნდა დაიფაროს. განსხვავება სესხების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის (რომელიც 12%-იანი დისკონტირების განაკვეთით დათვლილი ფულადი ნაკადების საფუძველზე განისაზღვრა), აღიარებულ იქნა როგორც კონტრიბუცია კაპიტალში (კაპიტალის ელემენტი).

2017 და 2016 წლებში ახალი ტრანშების მიღება არ განხორციელებულა.

ცვლილებები სესხის ხელშეკრულებაში

კომპანიამ (მსესხებელი) და მისმა აქციონერმა (კრედიტორი) - ამტელ ჰოლდინგ სინგაპურსმა, 2016 წლის 1 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ცვლილებას სესხის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც წლიური საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ სესხზე შემცირდა 16%-დან 12%-მდე. კომპანიის ხელმძღვანელობამ ცვლილებები სესხის პირობებზე მიიჩნია მნიშვნელოვნად და გააკეთა შესაბამისი კორექტირება - შეწყვიტა ცვლილებამდე სესხის საბალანსო ღირებულების აღიარება და აღიარა სესხი რეალური ღირებულებით, შესწორებული პირობების მიხედვით. განსხვავება შესწორებული პირობების მიხედვით აღიარებული სესხის სამართლიან ღირებულებასა და სესხის ნომინალური ღირებულებას შორის, აისახა როგორც კაპიტალში კონტრიბუციის შემცრება. (კაპიტალის მფლობელებისათვის გადანაწილება) (შენიშვნა 8).

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიწყო პროცენტის რეგულარულად გადახდა. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, მომავალი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი ცვლილების გამო, ხელმძღვანელობამ გადაიანგარიშა სესხების სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დააკორექტირა კაპიტალში კონტრიბუცია რეტროსპექტულად. (შენიშვნა 8)

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების გავლენა კაპიტალში კონტრიბუციაზე

2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული მოგების გადასახადის ცვლილებების გამო (შენიშვნები 3.10 და 15), კაპიტალში კონტრიბუციად აღიარებული გადავადებული მოგების გადასახადის კუმულატიური თანხა გაუქმდა, რადგან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების გაუნაწილებელი ნაწილი გამოიქვითა. გადავადებული გადასახადის კორექტირებამ შეადგინა 65,334 ლარი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

8 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	-	-	1,049,758	1,888,707
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხი	-	-	24,913	21,924
	-	-	1,074,671	1,910,631

გრძელვადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირებას 12%-იანი განაკვეთით დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხებისთვის და 12.84% - აინი განაკვეთით სახელმწიფო სესხებისთვის (2016: 12% დაკავშირებული მხარეებისგან და 12.84% სახელმწიფო სესხებიდან).

2016 წლის 1 ოქტომბერს სესხის ხელშეკრულებაში ცვლილებას ხელი მოაწერა კომპანიამ (მსესხებელი) და მისმა აქციონერმა (კრედიტორი) - ამტელ ჰოლდინგ სინგაპურს- მა, რომლის მიხედვითაც საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ სესხზე შემცირდა 16% -დან 12%-მდე წლიური. 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიწყო პროცენტის რეგულარულად გადახდა. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ხელმძღვანელობამ გადაინგარიშია სესხების სამართლიანი ღირებულება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით 12%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავალუტო კურსის რისკთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციისთვის იხილიეთ შენიშვნა 18.

სესხების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ტრანშები		ძირითადი თანხა სესხის ვალუტაში	სესხის ვალუტა			ხელშეკრულების განაკვეთი (%) წლიური	ეფექტური განაკ- ვეთი	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	
				მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი			ძირი	დარიცხული პროცენტი
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან									
1	ტრანში 1	60,000	აშშ დოლარი	12-11-2012	13-11-2022	12%	9.13%	-	-
2	ტრანში 2	25,000	აშშ დოლარი	26-11-2012	13-11-2022	12%	9.51%	-	-
3	ტრანში 3	35,000	აშშ დოლარი	13-12-2012	13-11-2022	12%	9.55%	-	-
4	ტრანში 4	20,000	აშშ დოლარი	6-02-2013	13-11-2022	12%	9.33%	-	-
5	ტრანში 5	10,000	აშშ დოლარი	16-10-2013	13-11-2022	12%	9.39%	-	-
6	ტრანში 6	100,000	აშშ დოლარი	29-01-2014	13-11-2022	12%	9.72%	-	-
7	ტრანში 7	157,500	აშშ დოლარი	20-05-2014	13-11-2022	12%	10.84%	150,812	45,275
8	ტრანში 8	33,000	აშშ დოლარი	15-07-2014	13-11-2022	12%	10.92%	67,931	9,357
9	ტრანში 9	160,000	აშშ დოლარი	14-11-2014	13-11-2022	12%	11.04%	379,958	48,435
10	ტრანში 10	130,000	აშშ დოლარი	12-02-2015	13-11-2022	12%	11.05%	308,715	39,275
								907,416	142,342
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები									
11	ტრანში 1	133,012	ლარი	23-07-2014	23-07-2034	0%	12.84%	14,210	8,020
12	ტრანში 2	22,389	ლარი	12-11-2014	23-07-2034	0%	12.85%	1,789	894
								15,999	8,914
								923,415	151,256

სესხების განმარტებითი შენიშვნები 2016 წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ტრანშები		ძირითადი თანხა სესხის ვალუტაში	სესხის ვალუტა	ხელშეკრულების			ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის		
				მიღების	დაფარვის	განაკვეთი (%) წლიური	ეფექტური განაკვეთი	ძირი	დარიცხული პროცენტი
				თარიღი	თარიღი				
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან									
1	ტრანში 1	60,000	აშშ დოლარი	12-11-2012	13-11-2022	12%	11.31%	135,935	4,606
2	ტრანში 2	25,000	აშშ დოლარი	26-11-2012	13-11-2022	12%	11.31%	72,310	2,363
3	ტრანში 3	35,000	აშშ დოლარი	13-12-2012	13-11-2022	12%	11.31%	88,187	2,766
4	ტრანში 4	20,000	აშშ დოლარი	6-02-2013	13-11-2022	12%	11.31%	57,461	1,640
5	ტრანში 5	10,000	აშშ დოლარი	16-10-2013	13-11-2022	12%	11.31%	27,636	789
6	ტრანში 6	100,000	აშშ დოლარი	29-01-2014	13-11-2022	12%	11.31%	271,788	7,755
7	ტრანში 7	157,500	აშშ დოლარი	20-05-2014	13-11-2022	12%	11.31%	420,465	11,997
8	ტრანში 8	33,000	აშშ დოლარი	15-07-2014	13-11-2022	12%	11.31%	67,925	2,652
9	ტრანში 9	160,000	აშშ დოლარი	14-11-2014	13-11-2022	12%	11.31%	414,758	11,834
10	ტრანში 10	130,000	აშშ დოლარი	12-02-2015	13-11-2022	12%	11.31%	275,833	10,007
								1,832,298	56,409
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები									
11	ტრანში 1	133,012	ლარი	23-07-2014	23-07-2034	0%	12.85%	14,210	5,352
12	ტრანში 2	22,389	ლარი	12-11-2014	23-07-2034	0%	12.86%	1,789	573
								15,999	5,925
								1,848,297	62,334

არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები

კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოიცავს შპს "არქიმედეს გლობალ ჯორჯია სს"-სგან მისაღებ 610,921 ლარს (2016: 634,832 ლარი), რომელიც 2011 წელს წარმოიშვა. მოცემული სადაზღვევო კომპანია ლიკვიდაციის პროცესშია და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტ ხანს. საქართველოს მთავრობის 309-ე დადგენილების "სამედიცინო დაწესებულებების უწყვეტი ფუნქციონირების შესახებ" და საქართველოს კანონის "ფინანსური მხარდაჭერა სამედიცინო დაწესებულებებს უწყვეტი სამედიცინო მომსახურების გასაწევად" მიხედვით (პროგრამის კოდი № 35 03 06), კომპანიამ მიიღო გრძელვადიანი უპროცენტო სესხი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან 155,401 ლარის ოდენობით, რომელიც ასევე განიხილება, როგორც ფინანსური მხარდაჭერა დაუბრუნებადი მოთხოვნებისთვის. სესხის ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 23 ივლისს. სესხის მიღება მოხდა ორი ტრანშის სახით, რომლის დაფარვის კადა 2034 წლის 23 ივლისი.

დაფარვის რეჟიმი და სესხის გრაფიკი დაფუძნებულია შემდეგი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე:

- თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" სრულად დააბრუნებს არსებულ ვალს, მაშინ კომპანია სრულად დაუბრუნებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სესხის საბალანსო ნაშთს, "არქიმედი გლობალ ჯორჯია" –დან თანხის მიღებიდან 30 დღის ვადაში.
- თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" არ გადაიხდის არსებულ დავალიანებას, მაშინ კომპანია ვალდებულია მთლიანად გადაიხადოს სესხი, სასესხო ხელშეკრულების მიხედვით იმ ვადაში რაც განსაზღვრულია სასესხო ხელშეკრულებაში.
- თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" დაფარავს დავალიანებას ნაწილობრივ, კომპანია ვალდებულია სესხის დაფარვა დაიწყოს მოვალისგან ნაწილობრივი გადახდის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ. სესხის გადახდა უნდა მოხდეს 5 წლის განმავლობაში თანაბარი ყოველთვიური შენატანებით.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამედიცინო სადაზღვევო ჯგუფი "არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" გადაიხდა 24,162 ლარი, რა შემთხვევაც აღწერილია ზემოთ მოყვანილი პირობებიდან შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, სესხის დაფარვა დაიწყება 2029 წლის აგვისტოდან 5 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად თანაბარი გადახდებით. სესხი აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც გამოთვლილია, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 13.68%-ის გამოყენებით.

დამატებით 2016 წლის განმავლობაში, სამედიცინო სადაზღვევო ჯგუფი "არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" გადაიხდა 23,910 ლარი, რაც არ ახდენს გავლენას პირველი გადახდის შემდეგ დადგენილ სესხის პირობებზე.

9 საგაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
საგაჭრო ვალდებულებები	1,419,470	1,696,694
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	606,601	608,547
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	152,904	147,253
სხვა	1,407	2,034
	<u>2,180,382</u>	<u>2,454,528</u>

საგაჭრო ვალდებულებები მოიცავს საიჯარო ვალდებულებას დაკავშირებულ მხარესთან – შპს ამტელ მედიქალ ფროფერთისთან - 1,234,072 ლარის ოდენობით (31 დეკემბერი, 2016: 1,360,300 ლარი).

ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მოიცავს შემდეგს:

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
საშემოსავლო გადასახადი	151,804	128,654
სხვა გადასახდელი გადასახადი	1,100	18,599
	<u>152,904</u>	<u>147,253</u>

10 შემოსავალი

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	10,020,874	11,636,088
შემოსავალი ქვე-იჯარიდან	42,984	26,249
სხვა შემოსავალი	29,437	20,100
	<u>10,093,295</u>	<u>11,682,437</u>

11 საავადმყოფოს საოპერაციო ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
ხელფასის ხარჯი	3,944,196	3,884,051
სამედიცინო მომსახურების ხარჯები	2,156,810	2,530,737
იჯარის ხარჯი	713,368	716,773
სანიტარიის და ჰიგიენის ხარჯი	393,486	347,957
სამედიცინო ჟანგბადის ხარჯი	221,022	246,057
რეკლამის ხარჯი	46,703	1,255
გაქირავებული შენობის რემონტის ხარჯი	16,812	41,007
სხვა საოპერაციო ხარჯები	21,908	13,750
	<u>7,514,305</u>	<u>7,781,587</u>

იჯარის ხარჯი შეიცავს საოპერაციო იჯარის ხარჯებს, კომპანიას საავადმყოფოს შენობა დაქირავებული აქვს დაკავშირებული მხარისგან - შპს ამტელ მედიკალ ფროფერტისგან, - იჯარის თანხა შეადგენს 712,248 ლარს (2016 წელი: 712,248 ლარი). საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია ერთი წლის ვადით და შემდგომ ყოველწლიურად ხდება მისი განახლება, შეიძლება მოხდეს საიჯარო განაკვეთის შეცვლა მოლაპარაკების გზით.

12 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
ცკეთა და ამორტიზაცია	779,934	481,511
ხელფასის ხარჯი	528,483	493,941
კომუნალური ხარჯი	426,524	313,991
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	214,795	94,862
კონსულტაციის და სხვა მომსახურების ხარჯი	103,681	34,694
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	58,407	51,745
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი (შენიშვნა 5)	14,249	154,025
საკომუნიკაციო ხარჯი	13,603	12,639
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,298	1,586
წინაწარ გადახდაზე რეზერვის გაუქმება	-	(180,450)
სხვა ხარჯები	17,672	47,361
	<u>2,159,646</u>	<u>1,505,905</u>

13 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
დაკავშირებული მხარეებისგან სესხებზე საპროცენტო ხარჯი	177,995	169,879
სახელმწიფოსგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	2,990	2,631
წმინდა ფინანსური დანახარჯები	<u>180,985</u>	<u>172,510</u>

14 სხვა ფინანსური ერთეულები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან:		
სესხები და მოთხოვნები	(20,210)	246,184
ფინანსური ვალდებულებები აღიარებული ამორტიზირებული ღირებულებით	19,304	(186,974)
	<u>(906)</u>	<u>59,210</u>

15 მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
მიმდინარე გადასახადი	20,555	6,106
გადავადებული გადასახადი	-	26,407
გადავადებული გადასახადის კორექტირება	-	(234,780)
	<u>20,555</u>	<u>(202,267)</u>

2017 წელს დივიდენდი არ გამოცხადებულა, შესაბამისად ეფექტური საგადასახადო განაკვეთი არ არის გაანგარიშებული.

2016 წლისთვის ეფექტური საგადასახადო განაკვეთის გაანგარიშება:

ლარი	2016 წლის 31 დეკემბერი	ეფექტური საგადასახადო განაკვეთი (%)
მოგება ლაბეგრამდე (ფასს-ის მიხედვით)	2,314,661	
გადასახადი დათვლილი 15%-იანი საპროცენტო განაკვეთით(2016: 15%)	347,199	15.00
(არა ლაბეგრადი)/არა-გამოქვითვადი ერთეულები	(549,466)	(23.74)
	<u>(202,267)</u>	<u>(8.74)</u>

ცვლილება მოგების გადასახადში

გადავადებული საგადასახადო კორექტირება დაკავშირებულია მოგების გადასახადის ცვლილებებთან, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები გადაიხდიან მოგების გადასახადს მოგების განაწილებაზე (განაწილებული მოგება აქციონერთათვის დივიდენდების სახით) და ინდივიდუალურ გარიგებებზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლების ირიბ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არაეკონომიკური ხასიათის გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას და ა.შ.). საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არ იქნება დროებითი სხვაობები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო ბაზას შორის.

ცვლილებამ დაუყოვნებლივი გავლენა მოახდინა გადავადებული საგადასახადო აქტივზე და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე ("გადავადებული გადასახადები"), რომლებიც მიეკუთვნება ადრე აღიარებულ დროებით განსხვავებებს, რომლებიც წარმოიშვა წინა პერიოდებში. კომპანიამ განაახლა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მთლიანად გაანულა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ("გადავადებული საგადასახადო კორექტირების") გამოუყენებადი ნაწილი.

გადავადებული მოგების გადასახადის მოძრაობა შემდეგია:

ლარი

	2017	2016
საწყისი ნაშთი	-	(273,707)
მიკუთვნილი მოგება/ზარალში	-	(11,500)
მიკუთვნილი პირდაპირ კაპიტალში	-	(26,407)
გადავადებული გადასახადის კორექტირება	-	311,614
საბოლოო ნაშთი	-	-

გადავადებული მოგების გადასახადი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

ლარი	2016 წლის 1 იანვარი	აღიარებულია კაპიტალში	აღიარებულია მოგება/ზარალში	2016 წლის 31 დეკემბერი
<i>გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი</i>				
სესხები	44,634	-	43,349	87,983
სავეჭრო მოთხოვნები	-	-	138,281	138,281
	44,634	-	181,630	226,264
<i>გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება</i>				
ძირითადი საშუალებები	231,662	-	208,111	439,773
არამატერიალური აქტივები	435	-	(74)	361
სესხები	86,244	11,500	-	97,744
	318,341	11,500	208,037	537,878
წმინდა პოზიცია	(273,707)	(11,500)	(26,407)	(311,614)
<i>გადავადებული გადასახადის კორექტირება</i>				
	-	76,834	234,780	311,614
წმინდა პოზიცია	(273,707)	65,334	208,373	-

გადავადებული გადასახადის კორექტირება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა ძალაში, რამაც გავლენა მოახდინა მოგების გადასახადის მოდელზე (იხ. შენიშვნა 3.10). ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები გადაიხდიან მოგების გადასახადს მოგების განაწილებაზე (განაწილებული მოგება აქციონერთათვის დივიდენდების სახით) და ინდივიდუალური გარიგებებზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლების ირიბ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არაეკონომიკური ხასიათის გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლითაც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას და ა.შ.). საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არ იქნება დროებითი სხვაობები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო ბაზას შორის.

ცვლილებამ დაუყოვნებლივ გავლენა მოახდინა გადავადებული საგადასახადო აქტივზე და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე ("გადავადებული გადასახადები"), რომლებიც მიეკუთვნება ადრე აღიარებულ დროებით განსხვავებებს, რომლებიც წარმოიშვა წინა პერიოდებში. კომპანიამ განაახლა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მთლიანად გააწესა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ("გადავადებული საგადასახადო კორექტირების") გამოუყენებადი ნაწილი.

16 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასებები და მსჯელობები ეფუძნება ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს, მათ შორის ხელმძღვანელობის მოლოდინებს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მომავალში მოვლენების შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით.

16.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია მომავალში მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს. შედეგად მიღებული საბუღალტრო შეფასებები, განმარტების თანახმად, იშვიათად ემთხვევა რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ვადისაგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადები ხელმძღვანელობის შეფასებებისგან განსხვავებული აღმოჩნდება, მაშინ ფინანსური ანგარიშგებაც შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს.

ღისკონტრიების განაკვეთები და სესხების რეალური ღირებულება

ხელმძღვანელობამ შეაფასა სესხების სამართლიანი ღირებულება სათანადო ფულადი ნაკადების ღისკონტრიებით ანალოგიური სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობამ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესახებ. შესადარისობა იქმნება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა მსესხებლის უზრუნველყოფა, ხანგრძლივობა, ვალუტა, ინდუსტრია და სექტორი.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება

ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.6-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
სესხები და მოთხოვნები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,763,786	3,811,855
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,556,756	2,822,619
	<u>5,320,542</u>	<u>6,634,474</u>

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით:		
სესხები	1,074,671	1,910,631
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,026,071	2,305,241
	<u>3,100,742</u>	<u>4,215,872</u>

18 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია არ არის დაცული ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკებისგან. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

რადგან კომპანიას აქვს ფინანსური აქტივები, ამიტომ იგი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, კონკრეტულად კი სავალუტო რისკს, რომელიც მისი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობები.

კომპანიის ოპერაციათა უმეტესობა ხორციელდება ლარით. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოშობილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში არსებული საბანკო ანგარიშებით და დაკავშირებული მხარისგან არსებული სესხით აშშ დოლარში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, წარმოდგენილია ქვემოთ. თანხები ლარში გადაყვანილია წლის ბოლოს არსებული კურსით:

ერთეული

2017 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული საბანკო ანგარიშებზე	546,322	10,337
	546,322	10,337
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	1,049,758	-
	1,049,758	-
წმინდა პოზიცია	(503,436)	10,337

ერთეული

2016 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული საბანკო ანგარიშებზე	2,155,012	28,886
	2,155,012	28,886
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	1,888,707	-
	1,888,707	-
წმინდა პოზიცია	266,305	28,886

აღნიშნული ცხრილი ასახავს ლარის დოლარის მიმართ 15%-იან კლება/მატების გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე. 15% (2016: 15%) არის უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ანალიზს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2016: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2016: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2017	2016	2017	2016
მოგება ან ზარალი	75,515	(39,946)	(1,034)	(4,333)

სავალუტო კურსის ცვლილებიდან წარმოშობილი რისკის დონე დამოკიდებულია წლის განმავლობაში უცხოელ მომწოდებლებთან და კლიენტებთან ვაჭრობის მოცულობაზე და შესაბამისად ცვალებადია. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი საკმარისად მიახლოებულად ასახავს კომპანიის რეალურ სავალუტო რისკს.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიშობა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან, მაგალითად მოთხოვნებიდან. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
მოთხოვნები	3,763,786	3,811,855
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,545,501	2,815,483
	5,309,287	6,627,338

ანგარიშის გამოშვების თარიღისთვის იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სახელმწიფო სოციალური სააგენტოს მოთხოვნებში. ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მოცემული საკრედიტო რისკი უმნიშვნელოა, რადგან დაფინანსება უზრუნველყოფილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ.

როგორც შენიშვნა 5-ში არის განმარტებული, კომპანიის მოთხოვნები შეიცავს დებიტორიულ დავალიანებას სამედიცინო სადაზღვევო კომპანიისგან - ჯგუფ არქიმედეს გლობალ ჯორჯიასგან 610,921 ლარზე, რომელიც წარმოშობილია 2011 წელს. კომპანიამ მოცემულ ნაშთზე სრულად შეადგინა რეზერვი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის. ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ შენიშვნა 5-ში განხილული რეზერვის გარდა, სხვა დამატებითი რეზერვის შექმნა არ არის საჭირო.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

ც) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ

კომპანია ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებს ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად საჭირო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღებისთვის, როდესაც შეიძლება კომპანიისგან მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს:

2017

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		11.03%	
6 თვეზე ნაკლები	2,026,071	-	2,026,071
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	3,731,377	3,731,377
	2,026,071	3,731,377	5,757,448

2016

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		11.32%	
6 თვეზე ნაკლები	2,305,241	-	2,305,241
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-
5 წელზე მეტი	-	3,451,123	3,451,123
	2,305,241	3,451,123	5,756,364

ლიკვიდურობის რისკის დასათვლელად და სამართავად კომპანია იყენებს სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან, ნაწილობრივ ფულად სახსრებს და სავაჭრო მოთხოვნებს. ფულადი რესურსები და მოთხოვნები აჭარბებს ფულადი გადინების საჭიროებას.

19 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია რომელიც თავის აქტივებს და ვალდებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, ასევე ახორციელებს მათ ანალიზს. ეს ანალიზი მოიცავს 3 ჯგუფს და ეყრდნობა სამართლიანი ღირებულების გამოყენების შესაძლებლობებს.

დონე 1 –სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება ბაზარზე არსებული კოტირებული ფასებით იდენტური აქტივების და ვალდებულებების მიხედვით.

დონე 2-სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება ფასეულობის მიხედვით განსხვავებით პირველი დონისა, რომლების დაკვირვებადი არიან პირდაპირ (ფასების მიხედვით) ან არაპირდაპირ (დადგენილი ფასების მიხედვით).

დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკაზე, რომელიც მოიცავს აქტივის და ვალდებულების ფასეულობას, რომლებიც არ არის დაყრდნობილი დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს.

19.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ფულადი ნაკადების დისკონტირებით შესაბამისი საბაზრო განაკვეთით მსგავსი ინსტრუმენტებისთვისა. მირომ ყველაზე ნიშნულგანი მონაცემი სწორეს დისკონტის განაკვეთია. ზემოთ აღნიშნული ფინანსურ აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებული იქნება ქემოთ მოცემული ღონეებიდან მესამეში.

20 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებითი კაპიტალი, აკუმულირებული მოგებისგან და სესხებისგან, რომელიც განხილულია შენიშვნა 8-ში.

ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს, იმისთვის, რომ ერთის მხრივ შეინარჩუნოს ეფექტური ფინანსირების სტრუქტურა და მეორეს მხრივ თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის ღონეებს.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
მთლიანი კაპიტალი	5,425,482	5,684,664
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(1,556,756)	(2,822,619)
კაპიტალი	3,868,726	2,862,045
მთლიანი კაპიტალი	5,425,482	5,684,664
სესხები	1,074,671	1,910,631
სრული ფინანსირება	6,500,153	7,595,295
კაპიტალის და საერთო დაფინანსების თანაფარდობა	0.60	0.38

21 შესაძლო, მოსალოდნელი შემთხვევები, რომლებიც რაიმე პირობის მოხდენის ალბათობაზეა დამოკიდებული

21.1 ბიზნეს გარემო

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და

მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე.

შემდგომი ეკონომიკური განვითარების ძირითადი დაბრკოლება ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონეა, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზის, რეგიონალური არასტაბილურობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

საქართველოსთან თანამშრომლობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია საზღვარგარეთიდან შემოსული ფულის შემცირება, რაზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. სამთო პროდუქტების საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, შესაძლოა გამოიწვიოს ქართული ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობა გაუარესება. თუმცა, როგორც ამ გაურკვევლობებში ჩართული ცვალებადებისა და დაშვებების რიცხვი მაღალია, ხელმძღვანელობა ვერ შეძლებს იმ საანგარიშო თანხების საიმედო შეფასებას, რომლის თანახმადაც კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში სათანადო ღონისძიებები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

21.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

22 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ცვლილება კლასიფიცირდება შემდეგი სახით:

ლარი	გრძელვადიანი სესხები	სულ
2016 წლის 1 იანვარი	1,521,472	1,521,472
ფულადი ნაკადები		
გადახდა	(116,705)	(116,705)
შემოსავალი	-	-
არაფულადი მუხლები		
დარიცხული პროცენტი	172,510	172,510
სამართლიანი ღირებულება	146,380	146,380
საკურსო სხვაობა	186,974	186,974
2016 წლის 31 დეკემბერი	1,910,631	1,910,631
ფულადი ნაკადები		
გადახდა	(1,507,330)	(1,507,330)
შემოსავალი	-	-
არაფულადი მუხლები		
დარიცხული პროცენტი	180,985	180,985
სამართლიანი ღირებულება	(509,689)	(509,689)
საკურსო სხვაობა	(19,304)	(19,304)
2017 წლის 31 დეკემბერი	1,074,671	1,074,671

23 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

23.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100% -იანი მფლობელი არის ამტელ ჰოლდინგ სინგაპური (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore). კომპანიის მთავარი მაკონტროლებელი პირები არიან ბატონი სუდჰირ გუფთა და ბატონი დანიელ გუფთა.

23.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და საანგარიშგებო პერიოდისთვის ჰქონდა შესაბამისი ნაშთები:

ლარი

ტრანზაქცია	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მფლობელი		
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	177,995	169,879
გადახდილი პროცენტი	671,572	116,705
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
მომსახურების მიღება	712,248	712,248
ძირითადი შენევემენტის ანაზღაურება		
ხელფასები და პრემიები	94,848	91,622

ლარი

ტრანზაქცია	2017 წლის 31 დეკემბერი	2016 წლის 31 დეკემბერი
მფლობელი		
მიღებული სესხი	907,416	1,832,298
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	142,342	56,409
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,234,072	1,360,300

მმართველობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. შესავალი

წინამდებარე მმართველობის მიმოხილვითი ანგარიშგება მომზადდა შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ ხელმძღვანელობის მიერ, 2016 წლის 24 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. ანგარიშგება ეფუძნება ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და მოიცავს მენეჯმენტის მოსაზრებებსა და მოლოდინებს ქვემოთ აღწერილ სფეროებთან დაკავშირებით.

პროგნოზები და მოლოდინი

ამ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ხელმძღვანელობის მოსაზრებებს, პროგნოზებს, მოლოდინებსა და სხვა განცხადებებს, რომელთა საფუძველს ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაცია წარმოადგენს. აღნიშნული მიდგომები ეფუძნება ბიზნესის სფეროს ტენდენციებს, მომხმარებლებთან დაკავშირებულ გარემოებებს, მოქმედ კანონმდებლობასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის რისკებს, მომავალ ცვლილებებსა და მოულოდნელობებს. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ ანგარიშგების საფუძველზე მოსალოდნელი ლოგიკური შედეგებისაგან.

ბიზნეს გარემო

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, მუდმივად განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. ამიტომ ქვეყანა არ გამოირჩევა ისეთივე მყარი და განვითარებული ბიზნესითა და მარეგულირებელი ინფრასტრუქტურით, როგორც ზოგადად არსებობს უფრო მეტად თავისუფალი ბაზრების ეკონომიკაში. შესაძლოა, შემდგომი ეკონომიკური განვითარების გზაზე არსებობდეს ისეთი გამოწვევები, როგორიცაა ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონე, რეგიონალური არასტაბილურობა და ნებისმიერი საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ საქართველოს პარტნიორ ქვეყნებში, შესაძლებელია გამოიწვიოს საზღვარგარეთიდან გადმორიცხული ფულადი ნაკადების შემცირება, რაც საქართველოს ეკონომიკას დამოკიდებულს ხდის. ამან ასევე შესაძლოა გაზარდოს პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული გაურკვევლობები და ინფლაცია. ყოველივე ეს კი თავის მხრივ შეიძლება გახდეს ქართული ეკონომიკისა და შესაბამისად, კომპანიის მდგომარეობის გაუარესების მიზეზი. აღნიშნული გაურკვევლობის,

მოულოდნელობებისა და დაშვებების მაღალი ხარისხის გამო, მენეჯმენტი მოკლებულია შესაძლებლობას, საიმედოდ შეაფასოს კომპანიაზე აღნიშნული რისკების შესაძლო ზემოქმედების შედეგები.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დღევანდელ პირობებში სათანადო ღონისძიებები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია, და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, რაც ზოგჯერ ინტერპრეტაციის საგანი ხდება. ზოგჯერ განსხვავებული ინტერპრეტაციების გამო, გადასახადები ექვემდებარება გადახედვასა და გამოძიებას საგადასახადო ორგანოების მიერ, რომლებსაც კანონი აძლევს ჯარიმებისა და პირგასამტეხლობის დაკისრების უფლებას.

აღნიშნულმა ფაქტებმა შესაძლოა საქართველოში შექმნას იმაზე მეტი საგადასახადო რისკები, ვიდრე კარგად განვითარებულ ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად იქნა შეფასებული. თუმცა, შესაბამისი ორგანოების მხრიდან განსხვავებული ინტერპრეტაციების შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს არსებითად განსხვავებული შედეგები. ამასთანავე, შეუძლებელია ბიზნესზე ნებისმიერი მომავალი მნიშვნელოვანი ცვლილების შესაძლო გავლენა წინასწარ იყოს საიმედოდ განსაზღვრული.

მარეგულირებელი გარემო და კანონმდებლობა

კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო რეგულირებას და ლიცენზირებას. კომპანიის პაციენტების დიდი ნაწილი სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, რომელშიც ჰოსპიტალი მონაწილეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან სახელშეკრულებლო შეთანხმების საფუძველზე. ამდენად, კომპანიის საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამთავრობო უწყებების მიერ ფორმულირებულ მარეგულირებელ გარემოზე. კერძოდ, სამედიცინო სერვისების სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ხდება სამედიცინო დაწესებულებების მუდმივი კონტროლი, სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის, ზედამხედველობის, მომსახურების ფასების კონტროლის მიზნით. როგორც წესი, ასეთი სისტემები ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, რეგულირებადი

სუბიექტების მხრიდან გაუმჯობესების მზარდი მოთხოვნებით, ასევე განხილვისა და გამოძიების შესაძლებლობებით, შესაბამისი ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციების დაწესების ალბათობით.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა შექმნან უფრო მეტი რისკები საქართველოში, ვიდრე სხვა, უკეთ განვითარებულ ქვეყნებში. ძირითადი ლიცენზიების დაკარგვამ, ან კანონმდებლობაში არასასურველმა ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მას მიღებული აქვს ადექვატური ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობისა და წესების დაცვა.

დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო ინდუსტრია განვითარების ეტაპზეა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი სადაზღვევო პროდუქტების მრავალსახეობა, შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყოს ხელმისაწვდომი საქართველოში. გარდა ამისა, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მოსახლეობაში დაბალია კერძო სადაზღვევო კომპანიების სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა

შესაბამისად, აქცენტი გადატანილია ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილ სადაზღვევო პაკეტებზე. ეს შეიძლება აღმოჩნდეს შემზღუდველი ფაქტორი კომპანიის შემდგომი განვითარებისთვის იქამდე, ვიდრე კომერციული პროვაიდერებისგან ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების შეძენა და გამოყენება არ გახდება სავალდებულო მოსახლეობის უფრო ფართო წრეებისთვის.

2. სუბიექტის ბიზნესის მიმოხილვა

ექვსი სხვადასხვა კლინიკის პრივატიზაციისა და რეორგანიზაციის ფარგლებში, მათი გაერთიანების შედეგად, 2011 წლის 5 ოქტომბერს, განხორციელდა შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის“ რეგისტრაცია. კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრეა იურიდიული პირი - ამტელ ჰოლდინგ სინგაპურ პრაივეტ ლიმიტედი .

კომპანიის ძირითად საქმიანობას სამედიცინო ჰოსპიტალის ფუნქციონირება წარმოადგენს. დღემდე, კლინიკაში 300-ზე მეტი მაღალკვალიფიციური ექიმი და ექთანი მუშაობს.

ჰოსპიტალს შეუძლია უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი მკურნალობის სრული პაკეტის მიწოდება როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული პაციენტებისთვის.

ჰოსპიტალში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები:

- მოზრდილთა მიმღებ-გადაუდებელი
- მოზრდილთა რეანიმაცია
- ანესთეზიოლოგია და საოპერაციო ბლოკი
- აბდომინური ქირურგია
- გინეკოლოგია
- გულმკერდის ქირურგია
- სისხლძარღვთა და მიკროქირურგია
- ნეიროქირურგია
- ტრავმატოლოგია-ორთოპედია
- კარდიოლოგია და ინტერვენციული კარდიოლოგია
- ზოგადი თერაპია
- ამბულატორიული და ფუნქციური დიაგნოსტიკა
- ზოგადი პედიატრია
- ამბულატორია ბავშვებისთვის
- ბავშვთა მიმღებ-გადაუდებელი
- ბავშვთა რეანიმაცია
- ბავშვთა ქირურგია
- ყბა-სახის ქირურგია
- ნევროლოგია
- ბავშვთა ნევროლოგია

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი: წინანდალის ქუჩა #9, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო. კომპანიას არ აქვს ფილიალები.

3. 2017 წლის საქმიანობის შედეგების მომხილვა

2017 წლის განმავლობაში, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობზე გავლენა იქონია მარეგულირებელ გარემოში მომხდარმა გარკვეულმა ცვლილებებმა, კერძოდ კი იმ ცვლილებებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში რეგულირების კუთხით. როგორც საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო დაწესებულება, შპს „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური“ ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის განმავლობაში მთავრობამ მოახდინა ფასების ჰარმონიზაცია, დაწესებულებების მასშტაბით პროგრამაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებს შორის მომსახურების ფასების სხვაობათა აღმოფხვრის მიზნით.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, ჰოსპიტალის მიერ მიწოდებული გარკვეული სამედიცინო მომსახურების ფასები შემცირდა, რამაც გამოიწვია შემოსავლის დაახლოებით 15,7% -ით შემცირება. 2017 წლის შემოსავალმა 10.1 მილიონ ლარამდე შეადგინა, მაშინ როცა 2016 წელს იგივე მაჩვენებელი 11.7 მილიონი ლარი იყო. კომპანიის მოგების შემცირება ასევე გამოიწვია იმპორტირებულ მედიკამენტებზე ფასების ზრდამ ეროვნული ვალუტის მერყეობის გამო, ხარჯების ზრდამ დასაქმებულთა ანაზღაურებაზე, კომუნალურ მომსახურებაზე გადასახადების მატებამ, ასევე ამორტიზაციის ხარჯის ზრდამ (2016 და 2017 წლების მსხვილი კაპიტალური დანახარჯების გამო).

2017 წელს წმინდა მოგება გადასახადების გადახდამდე შემცირდა 271 ათასი ლარამდე, მაშინ როცა 2016 წელს წმინდა მოგება შეადგენდა 2.31 მილიონ ლარს (2016 წელს 21.5% -იანი წმინდა მოგების კოეფიციენტი შემცირდა და 2017 წელს შეადგინა 2.5%).

2017 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობამ განვითარების სამომავლო გეგმებს გადახედა და მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანა, რაც მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული ფაქტორების უარყოფითი შედეგების დაძლევის, შემოსავლის გაზრდის მიზნით.

აღნიშნულ გეგმებში განხილული ძირითადი სფეროებია ჰოსპიტალის მიერ შემოთავაზებული სამედიცინო მომსახურების სპექტრის გაფართოება, რაც გამოიწვევს შემოსავლების გაზრდას, ფიქსირებული ხარჯების ეფექტურ გადანაწილებასა და შესაბამისად წმინდა მოგების მაჩვენებლის გაუმჯობესებას, ასევე ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული გადამზადება.

შემოსავლების გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების გარდა, ხელმძღვანელობამ ასევე განიხილა ის მიმართულებები, რომელიც საშუალებას მისცემს კომპანიას, შეამციროს ხარჯები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მენეჯმენტი გამოვიდა სამედიცინო ჟანგბადის გენერატორის (ქარხნის) შეძენის ინიციატივით (რაც საჭიროებს დაახლოებით 100 ათასი ევროს ინვესტიციას), ეს სამედიცინო ჟანგბადის ყოველთვიური ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას გამოიწვევს. აღნიშნული ინვესტიცია შეამცირებს არა მხოლოდ ხარჯებს, არამედ მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურების ხარისხს და შესაბამისად უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ჟანგბადის სტაბილურ მიწოდებას უპირველესად ჰოსპიტალის საოპერაციოსა და რეანიმაციულ განყოფილებებში.

ფინანსური მდგომარეობისა და ეფექტურობის გარდა, კომპანია ეწევა ხარისხისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის მუდმივ მონიტორინგს. აღნიშნულთან დაკავშირებით ჰოსპიტალში ჩატარდა პაციენტთა კმაყოფილების კვლევა „საიდუმლო მომხმარებლის“ მეშვეობით, რომლის შედეგებიც (რომელიც საკმაოდ დადებითი აღმოჩნდა), გამოყენებულ იქნა მომსახურების ხარისხის ხარვეზების აღმოჩენისა და მათ აღმოსაფხვრელად ზომების მიღების მიზნით.

კომპანიამ წარმატებით გაიარა ხარისხის მართვის სისტემებში სერტიფიცირება და შესაბამისი (ISO9001) სერტიფიკატი მოიპოვა, რამაც რისკების დროული იდენტიფიცირებისა და მათ შესამცირებლად სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შედეგების შემდგომი მონიტორინგის საშუალებები და მექანიზმები გახადა ხელმისაწვდომი. ამ სისტემების გამოყენებით ჰოსპიტალი ისახავს მიზნებს და აკონტროლებს საქმიანობის ეფექტურობას შემდეგი არაფინანსური საკვანძო ინდიკატორებით:

- ლეტალური შედეგების მაჩვენებლის შემცირება
- გართულებული შემთხვევების ეფექტური და კვალიფიკაციურ დონეზე მკურნალობა (წარმატებული მკურნალობის მაჩვენებლები)
- არასწორი დიაგნოზის შემთხვევების შემცირება
- ჟანგბადის წნევის რეგულირებისა და კონტროლის გაუმჯობესება
- მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესება
- მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, კლინიკური აუდიტის ეფექტური ფუნქციონირებისა და შიდა პროცესების გაუმჯობესების გზით
-

4. ძირითადი რისკების მიმოხილვა

ზემოთ აღწერილ საკითხებთან ერთად, კომპანიის წინაშე მდგარი ძირითადი რისკებია:

- კლინიკური პროცესების რისკები
- ლაბორატორიული რისკები
- ეპიდემიოლოგიური რისკები
- სამედიცინო კონტროლის და ზედამხედველობის რისკები
- ინფრასტრუქტურული რისკები
- სამედიცინო აღჭურვილობასთან დაკავშირებული რისკები
- შესყიდვების ადმინისტრირება, ადამიანური რესურსების მართვის რისკები

კომპანია იყენებს ხარისხის მართვის სისტემის ინსტრუმენტებს აღნიშნული რისკების მონიტორინგისთვის. საჭიროების შემთხვევაში გეგმავს ქმედებებს, აზუსტებს მათი დასრულების ვადებს, ადგენს ბიუჯეტს, აკისრებს რა ამგვარ ქმედებებზე პასუხისმგებლობას შესაბამის კვალიფიციურ პერსონალს.

5. სამომავლო განვითარების გეგმები

2017 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობამ განაახლა თავისი სამომავლო განვითარების გეგმები, ზემოაღნიშნულ ნაწილში აღწერილი იმ ფაქტორების უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად, რამაც შემოსავლების შემცირება გამოიწვია. ამ გეგმებში ძირითადი აქცენტი ჰოსპიტალის მიერ შეთავაზებული სამედიცინო მომსახურების სპექტრის გაფართოების მიმართულებით არის გაკეთებული.

გარდა ამისა, კაპიტალური სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლებიც ეტაპობრივად მიმდინარეობდა საავადმყოფოს შენობის ტერიტორიაზე დასრულდა 2017-2018 წლებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჰოსპიტალის ახლად გარემონტებული და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის დონის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ამ ეტაპზე ჰოსპიტალმა დაასრულა მიმდებ-გადაუდებელი განყოფილებებისა და საოპერაციო ბლოკების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სარემონტო სამუშაოებთან ერთად, კლინიკის სამედიცინო აღჭურვილობის განახლებაც მიმდინარეობს. 2017 წლის განმავლობაში ჰოსპიტალის კაპიტალურმა დანახარჯებმა 860 ათას ლარზე მეტი შეადგინა,

აღნიშნული თანხები ძირითადად ჩაიდო სამედიცინო აღჭურვილობისა და დანადგარების განახლებასა და შენობის კეთილმოწყობაში.

2018 წელს ჰოსპიტალის ხელმძღვანელობა გეგმავს ხარისხის მართვის სისტემების ISO სერტიფიკატის განახლებას ISO9001: 2015 ვერსიის შესაბამისად.

6. კვლევა და განვითარება

ამჟამად ჰოსპიტალში ტარდება საერთაშორისო კლინიკურ სამეცნიერო კვლევა სახელწოდებით: დელაფლოქსაცინის „მე-2b ფაზის, მულტიცენტრული, რანდომიზირებული, ორმაგად ბრმა, კონტროლირებული კვლევა ეფექტურობისა და უსაფრთხოების შესაფასებლად ინტრავენური VIS410-ის ისელტამივირთან (Tamiflu) დამატებით მიღების შემთხვევაში ცალკე აღებულ ოსელტამივირთან შედარებით, გრიპის ინფექციის მქონე ჰოსპიტალიზებულ ზრდასრულ პაციენტებში, რომლებიც საჭიროებენ ჟანგბადის მიწოდებას

7. გარემოსდაცვითი საკითხები

ჰოსპიტალის ოპერირების შედეგად წარმოქმნილი ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების გატანა ხორციელდება სერტიფიცირებული მომსახურების მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, რესურსების ხელმისაწვდომობა მომავალი ზრდისა და კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ფინანსური რისკების მართვა ხორციელდება ქვემოთ განხილული საკრედიტო, ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკების მართვის მეშვეობით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის ეფექტურობას და შესაბამისი კორექტირებები ხორციელდება სესხებსა და კაპიტალში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტი სასესხო ვალდებულებები. ეს ანალიზი 2017 წლის 27 აგვისტოს გაცემული კომპანიის ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების მე-20 შენიშვნაშია განხილული.

9. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი სახსრების რისკები და მათი მართვის მექანიზმები

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ კომპანიის დეტალური ანალიზი 2018 წლის 27 აგვისტოს გაცემული კომპანიის 2017 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაშია განხილული.

აშშ დოლარის დენომინირებული სავალუტო სესხების შედეგად წარმოქმნილი სავალუტო რისკის საპასუხოდ, ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ სესხების ვადამდე დაფარვისა და კომერციული ბანკისგან ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული სესხით ამ ფულადი სახსრების ჩანაცვლების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას წინსწრებით დაფარვისთვის არ ეკისრება ჯარიმები ან პირგასამტეხლოები, მოქმედების ამგვარი კურსი კომპანიას მისცემს აშშ დოლარით დენომინირებულ სესხებზე უცხოური ვალუტის დანაკარგების შემცირების საშუალებას ადგილობრივი ვალუტის კურსის შემდგომი ცვლილებების შემთხვევაში და სავალუტო რისკების მინიმუმამდე შემცირების შესაძლებლობას შემოსავლების ძირითადი ვალუტის (ქართული ლარი, ადგილობრივი ბაზარზე მომსახურების შედეგად) დანახარჯების ვალუტასთან (ასევე ქართული ლარი, ძირითადად თანამშრომლის სარგებლისა და ჰოსპიტალის საოპერაციო ხარჯები) მიმართებაში.

დანიელ გუფთა

დირექტორი

მარინა აზარიაშვილი

ფინანსური დირექტორი

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობის ანგარიშგებაზე

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T. + 995 322 604 406

**შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის
ხელმძღვანელობას**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის („კომპანია“) ხელმძღვანელობამ მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2017 წლისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2018 წლის 27 აგვისტოს გავცით ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული განცხადებების ნაწილი წარმოადგენს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება კომპანიის გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას. ასეთი გეგმების, მოლოდინების თუ პროგნოზების გონივრულობაზე აგრეთვე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- a) გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვედნილობაზე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- b) აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;
- c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

- a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
- b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნევთ, თუკი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანიას საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
- c) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ვახტანგ ცაბაძე,

დირექტორი,

მმართველი პარტნიორი

2018 წლის 28 სექტემბერი, თბილისი

კარინე მარტიროსიან

რეგისტრირებული აუდიტორი

ვაფასებთ, ზომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიეუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

2018 წლის 27 აგვისტო

კარინე მარტიროსიან
რეგისტრირებული აუდიტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ღარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017 წელი	31 დეკემბერი 2016 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,133,416	3,062,437
არამატერიალური აქტივები		4,500	4,241
		<u>3,137,916</u>	<u>3,066,678</u>
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		180,407	143,285
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,814,324	3,992,949
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		-	24,292
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	1,556,756	2,822,619
		<u>5,551,487</u>	<u>6,983,145</u>
სულ აქტივები		<u>8,689,403</u>	<u>10,049,823</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	7.1	39,277	39,277
კაპიტალში კონტრიბუცია	7.2	(220,513)	289,176
აკუმულირებული მოგება		5,606,718	5,356,211
		<u>5,425,482</u>	<u>5,684,664</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	8	1,074,671	1,910,631
		<u>1,074,671</u>	<u>1,910,631</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,180,382	2,454,528
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		8,868	-
		<u>2,189,250</u>	<u>2,454,528</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>8,689,403</u>	<u>10,049,823</u>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2018 წლის 27 აგვისტოს:

დანიელ გუფთა

დირექტორი

მარინა აზარიშვილი

ფინანსური დირექტორი


თანდართული შენიშვნები 10-41 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



9. საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი სახსრების რისკები და მათი მართვის მექანიზმები

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ კომპანიის დეტალური ანალიზი 2018 წლის 27 აგვისტოს გაცემული კომპანიის 2017 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების მე-18 შენიშვნაშია განხილული.

აშშ დოლარის დენომინირებული სავალუტო სესხების შედეგად წარმოქმნილი სავალუტო რისკის საპასუხოდ, ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ სესხების ვადამდე დაფარვისა და კომერციული ბანკისგან ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული სესხით ამ ფულადი სახსრების ჩანაცვლების თაობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიას წინსწრებით დაფარვისთვის არ ეკისრება ჯარიმები ან პირგასამტეხლოები, მოქმედების ამგვარი კურსი კომპანიას მისცემს აშშ დოლარით დენომინირებულ სესხებზე უცხოური ვალუტის დანაკარგების შემცირების საშუალებას ადგილობრივი ვალუტის კურსის შემდგომი ცვლილებების შემთხვევაში და სავალუტო რისკების მინიმუმამდე შემცირების შესაძლებლობას შემოსავლების ძირითადი ვალუტის (ქართული ლარი, ადგილობრივი ბაზარზე მომსახურების შედეგად) დანახარჯების ვალუტასთან (ასევე ქართული ლარი, ძირითადად თანამშრომლის სარგებლისა და ჰოსპიტალის საოპერაციო ხარჯები) მიმართებაში.



დანიელ გუფთა

დირექტორი



მარინა აზარაშვილი

ფინანსური დირექტორი

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

- a) გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხედენილობაზე კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- b) აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;
- c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

- a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
- b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნიეთ, თუკი ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანიას საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
- c) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ვახტანგ ცაბაძე,

დირექტორი,

მმართველი პარტნიორი

2018 წლის 28 სექტემბერი, თბილისი



კარინე მარტიროსიან

რეგისტრირებული აუდიტორი